



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #052/16

1. ფაქტები

ადვოკატ თ.ჯ.სა და ს.ა.ს შორის სამართლებრივი ურთიერთობა დაიწყო 2013 წლის 18 ოქტომბერს 5 წლის ვადით გაცემული რწმუნებულების საფუძველზე. მინიჭებული უფლებამოსილება მოიცავდა ს.ა.-ს ინტერესების წარმომადგენლობას სამოქალაქო საქმეზე საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში. მხარეთა შორის შეთანხმება არსებობდა კონკრეტულ საკითხზე - კერძოდ, ადვოკატს უნდა წარმოედგინა კლიენტის ინტერესები სამემკვიდრეო საკითხებთან მიმართებით, რაც მოიცავდა სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვას. საჩივრის ავტორის მხარემ საქმის წარმოებისთვის გადაიხადა შემდეგი ოდენობის თანხები, კონკრეტული დანიშნულებით: 500 (ხუთასი) ლარი ადვოკატის მომსახურების ანაზღაურების თანხა, 1 200 (ათას ორასი) ლარი სახელმწიფო ბაჟის თანხა, 600 (ექვსასი) ლარი დამატებითი სახელმწიფო ბაჟის თანხა. ადვოკატმა თ.ჯ.მ არ მიმართა სარჩელით სასამართლოს ს.ა.-ს ინტერესების დასაცავად და არ შეასრულა სრულად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ადვოკატი მომჩივან მხარეს არ აწვდიდა/არასწორად აწვდიდა ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ. ადვოკატმა არ დაუბრუნა კლიენტს - ს.ა.ს გამოუმუშავებელი ჰონორარი.

2. პროცესუალური ისტორია

2016 წლის 27 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ს.ა.მა და მოითხოვა ადვოკატ თ.ჯ.ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა თ.ჯ.ის მიმართ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილებით.

3. სამართლებრივი ანალიზი

რამდენად არსებობს საჩივრის ავტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები?

ეთიკის კომისიამ საქმის გარემოებების შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ არსებობს საჩივრის ავტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები, რადგან ადვოკატმა თ.ჯ.მ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა.

დაარღვია თუ არა ადვოკატმა კლიენტის მიმართ არსებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება?

ადვოკატი ვალდებულია, დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი)

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“(ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი)

ადვოკატი ვალდებულია, დროულად მიაწოდოს კლიენტს მისი საქმის გარშემო არსებული ყველა ინფორმაცია. კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, უფრო მეტად იყოს ჩართული საქმის მსვლელობის პროცესში. ადვოკატისთვის რწმუნებულებითი უფლებამოსილების მინიჭება არ ნიშნავს, რომ ადვოკატს აღარ აქვს ვალდებულება, კლიენტთან შეათანხმოს მისი საქმის მსვლელობისთვის განსახორციელებელი ქმედებები. ს.ა.მა წარმოადგინა ორი მოწმე, რომელთა ჩვენებების მიხედვითაც დასტურდება, რომ ადვოკატმა თ.ჯ. მუდმივად თავს არიდებდა კლიენტთან შეხვედრას და არ პასუხობდა მის ზარებს. მან აიღო სახელმწიფო ბაჟის თანხა, მაგრამ ამის შემდეგ დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში იყო ადვოკატთან კომუნიკაციის პრობლემა.

ადვოკატმა თ.ჯ.მ დაარღვია კლიენტის მიმართ არსებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რადგან მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არსებობდა მასთან კომუნიკაციის პრობლემა.

დაარღვია თუ არა ადვოკატმა კლიენტის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულება?

ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული საქმიანობა.“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი)



ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს კლიენტს რჩევა და განახპრციელოს წარმომადგენლობა. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი)

მას შემდეგ, რაც კლიენტთან დადებს შეთანხმებას და კლიენტი მას გადაუხდის გარკვეულ ჰონორარს ამისთვის, ადვოკატმა ყველაფერი უნდა სცადოს მისი ინტერესების სწორად და ეფექტურად დაცვის განსახორციელებლად. მოცემულ შემთხვევაში, თ.ჯ.მ დადო შეთანხმება ს.ა.თან, გამოართვა მას როგორც ჰონორარი, ისე სახელმწიფო ბაჟის თანხა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ადვოკატს საერთოდ არ შეუტანია სასამართლოში სარჩელი საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ ადვოკატმა არაკვალიფიციურად და არაკეთილსინდისიერად განახორციელა წარმომადგენლობა.

ადვოკატმა დაარღვია კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულება, რადგან, არ შეასრულა მისთვის დაკისრებული მოვალეობა.

დაარღვია თუ არა ადვოკატმა კლიენტის ფულადი სახსრების სწორად განკარგვის ვალდებულება?

ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი)

ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი)

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი)

ადვოკატი ვალდებულია, მართოს მინდობილი თანხები კეთილსინდისიერად და აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერები მის განკარგვასთან დაკავშირებით. მინდობილი თანხები არ წარმოადგენს ადვოკატის საკუთრებას და პროფესიული ეთიკის ნორმებიდან გამომდინარე, ადვოკატს ურთიერთობის შეწყვეტისას აკისრია მისი დაბრუნების ვალდებულება. რაც შეეხება ჰონორარს, საადვოკატო მომსახურების ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანია და დისციპლინური პასუხისმგებლობის მიღმა იმყოფება. მოცემულ საქმეში დადგინდა, რომ ადვოკატმა კლიენტთან დადებული შეთანხმების საფუძველზე იკისრა მისი ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა ყველა ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე, კერძოდ, სამემკვიდრეო დავის საკითხებზე, რაც ადვოკატის მხრიდან აშკარად არ შესრულდა. ამიტომ, შეწყვეტილი ურთიერთობის შემდეგ ადვოკატს წარმოეშვა ჰონორარის უკან დაბრუნების ვალდებულება.

ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისთვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის დისციპლინირება ემსახურება პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას საზოგადოებაში. მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის ხასიათს, სიმძიმეს, ასევე ფაქტს იმის თაობაზე, რომ ადვოკატი თ.ჯ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ყოფილა დისციპლინირებული. ამის გათვალისწინებით, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ დისციპლინური სახდელის ფორმად მის მიმართ უნდა განისაზღვროს გაფრთხილება.